



## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

### დადგენილება

#### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№1538/4, 01.08.2007) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 105<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 105<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია განისაზღვროს 5 წევრით, შემდეგი შემადგენლობით:

პეტრე ზამბახიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

ლეონ თედორაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

თემურ ცეცხლაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

იოსებ ხიმშიაშვილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი  
საბჭოს წევრი

მურმან ღუმბაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი  
უმაღლესი საბჭოს წევრი

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

 მიხეილ მახარაძე

ბათუმი,  
2007 წლის 20 ნოემბერი  
№271-უ.ს.შ.ს.